საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 696 2016 წლის 22 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისა და სალიცენზიო პირობების შეცვლის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა და „თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №138 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის საფუძველზე:

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიეცეს თანხმობა, შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზი(ებ)ის (ლიცენზია №1000009, ლიცენზია №100011, ლიცენზია №1000013, ლიცენზია №1000011, ლიცენზია №1000007, ლიცენზია №1000004, ლიცენზია №1000008, ლიცენზია №1000010,

ლიცენზია №0000029) მოქმედების ვადა გააგრძელოს არა უმეტეს 2026 წლის პირველ სექტემბრამდე.

2. ლიცენზიის გამცემმა ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებასთან ერთად უზრუნველყოს სალიცენზიო პირობებში ცვლილებების შეტანა და მათი ჩამოყალიბება ამ განკარგულების დანართების (დანართი 1, დანართი 2) შესაბამისად.

3. ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებიდან ყოველი თევზჭერის სეზონზე კვოტის დამტკიცების მიზნით საჭირო კვლევების ჩატარებასა და შესაბამისი დასკვნის მომზადებას, კვლევის ჩატარებისას მოქმედი მარეგულირებელი აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ლიცენზიის გამცემი.

4. ლიცენზიის გამცემი ვალდებულია, ამ განკარგულების გამოცემიდან არა უგვიანეს სამი თვის ვადაში უზრუნველყოს ლიცენზიის გაცემის შესახებ ბრძანებების №1 დანართით (გემების ჩამონათვალის შესახებ) გათვალისწინებული გემების განახლებული რეესტრის დამტკიცება, ამავე დანართებით განსაზღვრული გემების მიმდინარე სტატუსის (მოქმედი, შეჩერებული ან დროებით შეჩერებული) გათვალისწინებით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის
2016 წლის 22 აპრილის
№ 696 განკარგულების
დანართი

დანართი 1

სალიცენზიო პირობები

ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ა) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში, არა უგვიანეს 2020 წლის პირველი იანვრიდან, საკუთრებაში ჰყავდეს საქართველოში რეგისტრირებული არანაკლებ ერთი თევზსაჭერი გემი და ერთი გადამზიდი გემი (ტრანსპორტერი). ზღვრულად დასაშვები თევზსაჭერი გემების ოდენობა ლიცენზიანტებისათვის განისაზღვროს 20 (ოცი) ერთეულით. აღნიშნული ოდენობის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ ლიცენზიის გამცემის თანხმობით. ლიცენზიის გაცემის შესახებ ბრძანების №1 დანართით განსაზღვრული გემ(ებ)ით ზღვრულად დასაშვები რაოდენობის (20 ერთეულის) გაზრდა შეთანხმებას არ საჭიროებს;

ბ) 2018 წლის პირველი იანვრიდან ლიცენზიის მოქმედების ვადის დასრულებამდე თითოეულ თევზჭერის სეზონზე (პირველი ოქტომბრიდან მომდევნო წლის პირველ ოქტომბრამდე, ხოლო ლიცენზიის ბოლო თევზჭერის სეზონის შემთხვევაში, პირველი ოქტომბრიდან 2026 წლის პირველ სექტემბრამდე) მოპოვებული რესურსის არანაკლებ 70% საბოლოო პროდუქტად გადაამუშაოს საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის, არანაკლებ 10%-ით აწარმოოს კომბინირებული საკვები და არანაკლებ 5%-ით აწარმოოს სასურსათო კონსერვირებული პროდუქტი. ამასთან, თევზჭერის ლიცენზიანტმა საბოლოო პროდუქციის წარმოებისას უნდა დაიცვას მოქმედი ტექნიკური რეგლამენტები, სურსათის უვნებლობასთან

დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა და ამ განკარგულების დანართი 2-ის მიხედვით განსაზღვრული ევროკავშირის აქტები;

შენიშვნა: 1. იმ შემთხვევაში, თუ სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა და ამ განკარგულების დანართი 2-ის მიხედვით განსაზღვრული ევროკავშირის აქტები ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ლიცენზიანტი საბოლოო პროდუქციის წარმოებისას ვალდებულია, დაიცვას დანართი 2-ით გათვალისწინებული აქტები. 2. საბოლოო პროდუქტად მიიჩნევა სასურსათო საკონსერვო წარმოება, თევზის, ფქვილისა და ზეთის წარმოება, შებოლვა, კომბინირებული საკვების წარმოება, დამარილება და გაყინვა;

გ) უზრუნველყოს, რომ 2018 წლის პირველი იანვრიდან 2019 წლის პირველ იანვრამდე თევზჭერის პროცესში დასაქმებულთა არანაკლებ 30% იყოს აკრედიტებული/ავტორიზებული სასწავლო დაწესებულების მიერ დიპლომირებული ან სერტიფიცირებული შესაბამისი პროფესიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე, 2019 წლის პირველი იანვრიდან 2023 წლის პირველ იანვრამდე წლის განმავლობაში არანაკლებ 50%, ხოლო 2023 წლის პირველი იანვრიდან ლიცენზიის მოქმედების პერიოდში არანაკლებ 80%;

დ) არა უგვიანეს 2017 წლის პირველი ოქტომბრისა, ჭერილის რეალურ დროში კონტროლისათვის გემზე დაამონტაჟოს ელექტრონული მონიტორინგის სისტემა და აწარმოოს ელექტრონული თევზჭერის ჟურნალი. ელექტრონული მონიტორინგის სისტემის ტექნიკური მახასიათებლები განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტით;

ე) საკუთარი კვოტის ფარგლებში გამოყოს რესურსის 12%-ით სარგებლობის უფლება, რომელიც ლიცენზიანტის მიერ თანაბრად განაწილდება ლიცენზიის გაცემის შესახებ ბრძანებ(ებ)ის №1 დანართით განსაზღვრული თევზსაჭერი გემების მესაკუთრეებს შორის ამ გემების საექსპლუატაციო ვადის გათვალისწინებით ან გემ(ებ)ის ჩანაცვლების

შემთხვევაში, ლიცენზიის მოქმედების ვადით (იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის გაცემის შესახებ ბრძანებ(ებ)ის დანართით განსაზღვრული თევზსაჭერი გემ(ებ)ით შეუძლებელი გახდა თევზჭერა ან გაუვიდა ექსპლუატაციის ვადა და გემი არ იქნა ჩანაცვლებული, აღნიშნულ თევზსაჭერ გემებზე განპიროვნებული ოდენობა თანაბრად ნაწილდება ამავე დანართით განსაზღვრულ დანარჩენ თევზსაჭერი გემების მესაკუთრეებზე და დადგინდება მათთვის გამოსაყოფი რესურსის ოდენობის ახალი პროცენტული მნიშვნელობა);

შენიშვნა: 1. თევზსაჭერი გემების მესაკუთრეებს არ გააჩნიათ თევზჭერის უფლების ლიცენზიანტების ან ლიცენზიის გაცემის შესახებ ბრძანებ(ებ)ის დანართით (№1) განსაზღვრული თევზსაჭერი გემების მესაკუთრეების გარდა სხვა პირზე გასხვისების უფლება. 2. ამასთან, ლიცენზიის გაცემის შესახებ ბრძანებ(ებ)ის დანართით (№1) განსაზღვრული თევზსაჭერი გემების მესაკუთრეები და ლიცენზიის მფლობელი არ უნდა იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული პირები საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მიზნებისათვის. 3. „ე“ ქვეპუნქტში მითითებული „გემის ჩანაცვლება“ გულისხმობს ლიცენზიის გაცემის შესახებ ბრძანებ(ებ)ის დანართით (№1) განსაზღვრული თევზსაჭერი გემების ჯამური ოდენობის შეუცვლელად ჩასანაცვლებელი გემის იგივე ან/და უკეთესი პარამეტრების (საერთო ტევადობა, სიგრძე) მქონე გემით ჩანაცვლებას;

ვ) „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სარგებლობის უფლების გადაცემისთვის თევზსაჭერი გემების მესაკუთრე(ები)სგან მოითხოვოს მხოლოდ „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესაბამისი მოსაკრებლის ტოლფასი თანხა, შესაბამისი დამატებული ღირებულების გადასახადის ტოლფასი თანხა, რეგულირების საფასურის ტოლფასი თანხა;

ზ) 2017 წლის პირველ მაისამდე სრულად გადაიხადოს 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარის მის სარგებლობაში არსებული კვოტის პროცენტული

წილის შესაბამისი თანხა. ამასთან, ლიცენზიანტი უფლებამოსილია, ისარგებლოს შემდეგი გადახდის გრაფიკით: 2016 წლის პირველ ივლისამდე ლიცენზიანტს გადახდილი უნდა ჰქონდეს მის მიერ ჯამში გადასახდელი თანხის არანაკლებ 30%, 2016 წლის პირველ ოქტომბრამდე - ჯამში გადასახდელი თანხის არანაკლებ 60%, ხოლო 2017 წლის პირველ მაისამდე - დარჩენილი თანხა გადახდილ უნდა იქნეს სრულად. ამ პუნქტში მითითებული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევა წარმოადგენს ლიცენზიის გაუქმების უპირობო საფუძველს;

თ) ამ დანართის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სალიცენზიო პირობებისა და ვალდებულებების შესრულების დადასტურების მიზნით, ყოველწლიურად, არა უგვიანეს პირველი ნოემბრისა წარადგინოს აუდიტორული მომსახურების გამწევი იურიდიული პირის მიერ გაცემული დასკვნა. ამ პუნქტით განსაზღვრული აუდიტორული მომსახურების გამწევი პირი შეიძლება იყოს მხოლოდ „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრული აუდიტორული მომსახურების გამწევი იურიდიული პირი;

ი) დაიცვას ლიცენზიის მოქმედების პერიოდში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნები, მათში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით.

რეგულაციები, რომლებიც დაცული უნდა იქნას თევზჭერის ლიცენზიის მფლობელთა მხრიდან თევზის გადამუშავების პროცესში

1. კომბინირებული საკვების წარმოების პირობები და საკვების ხარისხის და უვნებლობის მაჩვენებლები უნდა შეესაბამებოდეს შემდეგი დოკუმენტების მოთხოვნებს:

1. Regulation (EC) No 183/2005 of the European Parliament and of the Council of 12 January 2005 laying down requirements for feed hygiene;
2. Commission Regulation (EC) No 141/2007 of 14 February 2007 concerning a requirement for approval in accordance with Regulation (EC) No 183/2005 of the European Parliament and of the Council for feed business establishments manufacturing or placing on the market feed additives of the category coccidiostats and histomonostats;
3. Commission Recommendation 2011/25/EU of 14 January 2011 establishing guidelines for the distinction between feed materials, feed additives, biocidal products and veterinary medicinal products;
4. Commission Regulation (EC) No 152/2009 of 27 January 2009 laying down the methods of sampling and analysis for the official control of feed;
5. Regulation (EC) No 767/2009 of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 on the placing on the market and use of feed, amending European Parliament and Council Regulation (EC) No 1831/2003 and repealing Council Directive 79/373/EEC, Commission Directive 80/511/EEC, Council Directives 82/471/EEC, 83/228/EEC, 93/74/EEC, 93/113/EC and 96/25/EC and Commission Decision
2004/217/E
6. Commission Regulation (EU) No 68/2013 of 16 January 2013 on the Catalogue of feed materials;
7. Directive 2002/32/EC of the European Parliament and the Council of 7 May 2002 on undesirable substances in animal feed

2. თევზის გადამამუშავებელი საწარმოს მიერ (სასურსათო პროდუქციის წარმოებისას) პროდუქციის წარმოების პირობები და პროდუქტის ხარისხის და უვნებლობის მაჩვენებლები უნდა შეესაბამებოდეს შემდეგი დოკუმენტების მოთხოვნებს

1. Regulation (EC) No 178/2002 of the European Parliament and of the Council of 28 January 2002 laying down the general principles and requirements of food law, establishing the European Food Safety Authority and laying down procedures in matters of food safety
2. Regulation (EC) No 852/2004 of the European Parliament and of the Council of 29 April 2004 on the hygiene of foodstuffs
3. Regulation (EC) No 853/2004 of the European Parliament and of the Council of 29 April 2004 laying down specific hygiene rules for food of animal origin

4. Regulation (EC) No 854/2004 of the European Parliament and of the Council of 29 April 2004 laying down specific rules for the organization of official controls on products of animal origin intended for human consumption

5. Commission Regulation (EC) No 2073/2005 of 15 November 2005 on microbiological criteria for foodstuffs

6. Commission Regulation (EC) No 1881/2006 of 19 December 2006 setting maximum levels for certain contaminants in foodstuffs

7. Regulation 1935/2004/EC of the European Parliament and of the Council of 27 October 2004 on materials and articles intended to come into contact with food